N 01-01-22/1607 14.08.2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ჯაბა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“-ს 2023 წლის 10 აგვისტოს №01/1/2209 წერილის შესაბამისად, „ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით)-გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის-კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბანის და გოდერძის უღელტეხილის განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში უნდა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დაგეგმილი სტრატეგიული დოკუმენტის სგშ ანგარიშთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნების და მოსაზრებები საზოგადოებას შეუძლია, წარუდგინოს სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ს 2023 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით.

აღნიშნულ საკითხზე საჯარო განხილვა გაიმართება 2023 წლის 26 სექტემბერს შემდეგ მისამართზე: დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №1-ში.

ამასთანავე ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი ელ. ბმული უნდა წარედგინოს სააგენტოს.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამისს დეპარტამენტს უზრუნველყოს დოკუმენტაციის ატვირთვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დანართი: ასატვირთი დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

ნუგზარ ძნელაძე

დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი